THE ECONOMY OF GEORGIA AND THE ASSOCIATION AGREEMENT WITH THE EUROPEAN UNION

საქართველოს ეკონომიკა და ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება

Maia Tetruashvili

Doctor of Economic Sciences,
Professor of Tbilisi State University,
Tbilisi Digomi 3. -11/8, 0159 Georgia
+995 599142474 Maiko_te@mail.ru
https://orcid.org/0000-0002-4967-0043

Abstract. Georgia is one of the first post-Soviet countries that have chosen the path of market relations. As an independent state, it is a member country of various international organizations such as the International Monetary Fund, the World Bank (WB), the European Bank for Reconstruction and Development (EBRD), the World Trade Organization (WTO) and others.

At the modern stage, along with the development of democracy, the main goal of the country is to integrate into the European space.

In 2014, the Association Agreement between Georgia and the European Union was signed. Deep and Comprehensive Free Trade Areas (DCFTA), one of the components of the Agreement, entered into force the same year. The enhancement of trade and economic relations between the parties of this Agreement is one of the preconditions of socio-economic development of Georgia.

DCFTA envisages the abolition of customs duties between the member states, which opens up a market of over half a billion consumers to Georgian companies in 28 European countries. This is a good opportunity to the entrepreneurs who want to export their products to the European Union.

This agreement significantly simplified the export of services from Georgia to the EU. In most sectors, Georgian companies operating in service sectors will be gradually given an opportunity to:

- set up branches in the EU countries and supply services to European customers through these branches;
- employ Georgian managers and specialists and organize internships for their employees in their European branches;
- send their sales representatives to the EU to negotiate on selling their products;
- deliver services to the EU market from Georgia without opening branches in the EU.

Individually or based on the contracts signed between the companies, Georgian specialists will have the ability to provide services in the EU. The agreement also envisages the mechanisms for recognition of professional qualifications. After that, it will be much easier for Georgian specialists to provide services in the EU countries. In addition, it should be noted that the goods and services produced in Georgia will gradually gain access to public procurement in the EU member states.

Key words: ENSPARD; HACCP (Hazard Analysis Critical Control Point). **(EEN)** (Enterprise Europe Network).

მაია თეთრუაშვილი
ეკონომიკის დოქტორი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
თბილისი დიღმის მასივი. მე-3 კვარტალი 11/8. 0159 საქართველო
+995599142474 Maiko_te@mail.ru
https://orcid.org/0000-0002-4967-0043

აბსტრაქტი. სამეცნიერო ნაშრომის - „საქართველოს ეკონომიკა და ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება“ , მიზანია გაანალიზოს საქართველოსა და ევროკაშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების პირობები და შესრულების თანმდევი შედეგები.

1992 წელს ევროკავშირმა თანამაშრომლობა დაიწყო საქართველოსთან, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანასთან. იმ პერიოდისათვის თანამაშრომლობას არ ჰქონდა ინტენსიური ხასიათი. ამ თანამაშრომლობაში მნიშვნელოვანი თარიღია 1999 წელი, როდესაც ძალაში შევიდა ათ წლიანი შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. ამასთანავე ვადის ამოწურვის შემდგომ შეთანხმება ავტომატურად გაგრძელებულად ჩაითვლებოდა ყოველი შემდგომი ერთი წელი, თუ ორივე მხარე თანახმა იქნებოდა. შეთანხმების მიზანი იყო ერთიანი თანამშრომლობით გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების მიღწევა, უფრო კონკრეტულად კი საქართველოს დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან.

2000 წლიდან საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის მიზანიც იყო ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

ასოცირების შეთანხმება ევროპასთან საქართველოსთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნია ევროკავშირთან ეკონომიკური დაახლოებისა და ინტეგრაციისთვის.DCFTA ეფუძნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პრინციპებს და გულისხმობს სხვადასხვა პრეფერენციებს, კერძოდ: - საქონელზე იმპორტის გადასახადის გაუქმებას; მეწარმეების სავაჭრო სერვისებზე შეუზღუდავ დაშვებას; ევროკავშირის ბაზრის გახსნას ქართული პროდუქციისთვის და სხვ.

საძიებო სიტყვები: -„სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა“; „უსაფრთხოების სისტემა საკვები პროდუქტებისათვის“, „ ევროპის მეწარმეთა ქსელი“

შესავალი. საქართველო, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, ერთ-ერთი მოწინავეა ქვეყანაა, რომელიც საბაზრო ურთიერთობების გზას დაადგა.
ის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, გაწევრიანებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, (International Monetary Fund) მსოფლიო ბანკი (WB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (IBRD) ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია World Trade Organization, - WTO) და სხვ.

თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნის ძირითადი მიზანი, დემოკრატიის განვითარებასთან ერთად, ევროპულ სივრცეში ინტეგრაციაა.

აქტუალობა. ეკონომიკური ურთიერთობების გლობალიზაცია, გაფართოება ნებიესმიერი ქვეყნის ინტერესებში შედის. გამონაკლისი არც საქართველოა, რომელიც, ევროპასთან დაახლოების გზაზე, ცდილობს ეროვნული ეკონომიკის იმგვარად განვითარებას, რომ ქართულმა საქონელმა და მომსახურებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდროს ევროპულ ბაზრებზე. ამ ფონზე აქტუალურის ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, საერთაშორისო ეკონომიკური აქტივობების განხილვა და ანალიზი.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია, გაანალიზოს საქართველოსა და ევროკაშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების პირობები და შესრულების თანმდევი შედეგები.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით, საკვლევ თემასთან დაკავშირებული საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების საფუძველზე, შემუშავებული იქნა გარკვეული დასკვნები და რეკომენდაციები საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, ეკონომიკური აქტივობების სწორად დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

ლიტერატურის მიმოხილვა. 2014 წელს, ხელი მოეწერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას. ამავე წელს კი ამოქმედდა, მისი ერთ-ერთი

კომპონენტი, ე.წ. DCFTA და ძალაში შევიდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება.

ამ შეთანხმების მხარეებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ზრდა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პირობაა.

DCFTA ხელისმომწერ სახელმწიფოებს შორის საბაჟო გადასახადის გაუქმებას ითვალისწინებს, რაც ქართული კომპანიებისთვის ევროპის 28 ქვეყანაში ნახევარმილიარდიან ბაზარს ხსნის იმ მეწარმეებისთვის, რომელთაც ევროკავშირში თავიანთი პროდუქციის გატანა სურთ.

ამ შეთანხმების სიკეთეა ის, რომ მნიშვნელოვნად გამარტივდა საქართველოდან მომსახურების ექსპორტი. ქართულ მომსახურების სფეროს ბიზნეს კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ:

- ევროკავშირის ქვეყნებში დააფუძნონ კომპანიები(ფილიალები) და მომსახურება მთელს ევროპას მიაწოდონ;
- თავიანთ კომპანიებში (ფილიალებში) დაასაქმონ ქართველი სპეციალისტები და ასევე გადაამზადონ თანამშრომლები;
- პროდუქციის რეალიზაციის მიზნით, ჰყავდეთ საკუთარი აგენტები/ წარმომადგენლები ევროკავშირის ქვეყნებში;
- კომპანიების (ფილიალების) გახსნის გარეშე მიაწოდონ მომსახურება ევროკავშირს;
- მიიღონ სამუშაო ადგილები ევროკავშირის მიერ მათი პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების საფუძველზე;
- ეტაპობრივად დაუშვან ქართული საქონელი და მომსახურება ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვებში.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2021 წელს, ჩვენი ქვეყნიდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა, მთლიანი ექსპორტის 15,9 %-მდეა. რაც მზარდი ტენდენციაა წინა წლებთან შედარებით.

ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო რომ გაიზარდოს, ქართული პროდუქცია კიდევ უფრო ფარტო მასშტაბებით ევროპის ბაზარზე რომ მოხვდეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს სურსათის უვნებლობის და პროდუქტის უსაფრთხოების ეროვნულ სტანდარტებს.

ევროპასა და საქართველოს ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა ასევე, - „სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა“ (ENSPARD). მის ფარგლებში 2013-2022 წლებისთვის გამოყოფილია 175,5,მილიონი ევრო, რომლის მიზანია, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა, სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა.

ამავე ხელშეკრულების ფარგლებში, სოფლად წარმოების რენტაბელობის ამაღლების მიზნით, ხორციელდება „ კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, რომელიც 1121 კოოპერატივს აერთიანებს.

კოოპერატივების შექმნამ, ხელი უნდა შეუწყოს წარმოების ხარისხის ამაღლებას, რათა ქართულმა სოფლის მეურნეობის პროდუქციამ შესძლოს ევროპის და სხვა ქვეყნის ბაზრებზე მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება. ეს კი, თავისთავად ხელს შუწყობს ქართული ბაზრის განვითარებასაც. ასოცირების შეთანხმების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ, ქართველი მომხმარებელიც შესძლებს ადგილობრივ ბაზარზე მაღალი სტანდარტების პროდუქციის შეძენას.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის მესამე ფაზა 2018-2022 წლებს მოიცავს და მისი განხორციელებისათვის ENPARD- ის გადაწყვეტილებით, დამატებით 222 მილიონი ლარი გამოიყო.

მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოება, არა მარტო ახალ ტექნოლოგიებს, ახალ სამართლებრივ რეგულაციებსაც საჭიროებს, ამიტომ, ევროპასთან დაახლოების მიზნით, ქვეყანაში თანდათანაობით იცვლება სტანდარტები და რეგულაციები. პროცესი მტკივნეულია, მაგრამ მათი განხორციელება აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

ერთ-ერთი სტანდარტი გახლავთ, HACCP (Hazard Analysis Critical Control Point).

ეს არის უსაფრთხოების სისტემა საკვები პროდუქტებისათვის, ის მოიცავს სანიტარულ-ფიგიენურ ნორმებს, რომლებიც შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

საქართველოში მანამდე (დღემდე) არსებული სისტემა ამოწმებდა მხოლოდ წარმოების ბოლო შედეგს-, ანუ მზა პროდუქტს და არ ითვალისწინებდა წარმოების პროცესის შემოწმებას.

HACCP -ის სისტემის მიხედვით კი, მოწმდება მთლიანი წარმოების პროცესი: ნედლეულის ხარისხი, წარმოების სხვადასხვა წერტილების სანიტარულ-ფიგიენური მდგომარეობა და სხვ.

აღნიშნული სტანდარტი ჩვენს ქვეყანაში ეტაპობრივად ინერგება და ამ სერთიფიკატის მოპოვება აუცილებელია მხოლოდ იმ საწარმოებისათვის, რომლებსაც ევროპის ბაზრებზე სურთ პროდუქციის გატანა. ადგილობრივი ბაზრისთვის, ეს მოთხოვნა სავალდებულო არ არის.

სტანდარტის სრულად დანერგვა იოლი არ არის ქართველი მცირე მეწარმეებისათვის. ტექნოლოგიების შეცვლა და გადაიარაღება დიდ ინვესტიციებს საჭიროებს, რაც ბევრი მათგანისთვის ამ ეტაპზე ხელმიუწვდომელია.

გარდა ამისა, ხელის შემშლელი ფაქტორია მცირემიწიანობა, სადაც შეუძლებელია ერთგვაროვანი პროდუქციის დიდი რაოდენობით წარმოება.

გარდა კაპიტალის, საინვესტიციო რესურსის და მიწების სიმცირისა, პრობლემას ქმნის ფერმერთათვის ინფორმაციის ნაკლებობაც. მიუხედავად იმისა, რომ იქმნება საინფორმაციო ცენტრები, მზადდება ბუკლეტები და ტარდება სხვადასხვა სახის საინფორმაციო ღონისძიებები, სოფლად, ფერმერთა უმრავლესობა ჯერ კიდევ არ არის სრულად ინფორმირებული ევროპული ბაზრის მოთხოვნებზე.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია უცხოური ინვესტიციების, მათ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. სწორედ ამ პრობლემის დაძლევას ემსახურება ENPARD -ის რეკომენდაციებით ფერმერთა კავშირების, კოოპერატივების შექმნა. კაპიტალისა და მიწების გაერთიანება საშუალებას მისცემს ფერმერებს, აწარმოონ იმ რაოდენობის და ისეთი ხარისხის პროდუქცია, რომელიც საინტერესო იქნება ევროპის ბაზრებისთვის.

მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა, DCFTA -ს ამოქმენდების შემდგომ, ქვეყნის სტატისტიკური სამსახური, ექსპორტთან დაკავშირებით, დადებით ტენდენციებზე მიანიშნებს.

2014 წელს საქართველოში ექსპორტიორი კომპანიების რიცხვი 578 იყო. 2018 წელს ეს მაჩვენებელი 789-მდე გაიზარდა და 2019 წელს- 800-ს გადააჭარბა.

ევროპის ქვეყნებში საქართველოდან, 2014 წელს 644 740,4 ათასი აშშ. დოლარის პროდუქცია გავიდა. 2018 წელს ამ მაჩვენებელმა -730 688,9 ათასი შეადგინა. ხოლო 2019 წელს კი - 819 665, 8 ათასი აშ.შ. დოლარი.

დღეს, ევროპაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან გადის ღვინო, მინერალური წყლები და თხილი. ეს პროდუქტები ასოცირების ხელშეკრულებამდეც გადიოდა ამ ქვეყნებში. მცირე რაოდენობით დაემატა ჩირი, (ხმელი ხილი) კივი და მოცვი.

კვლავ პრობლემაა რძისა და ხორცის პროდუქტებთან დაკავშირებით და ისინი როგორც მომატებული საფრთხის შემცველი პროდუქტებად ითვლება დღემდე..

ევროპასთან დაახლოებისა და ქვეყანაში ბიზნესის განვითარების მიზნით, ხეისუფლებამ გამოყო შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები: ინდუსტრიული მიმარულება; საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი; გადაიღე საქართველოში; ტურისტული სერვისების ინდუსტრია; მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და სხვ.

საქართველოსა და ევროპას შორის ასოცირების ხელშეკრულებაში, მნიშვნელოვან მიმართულებად არის გამოყოფილი განათლება, რამეთუ, სწორედ განათლებაა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა. შეთანხმება ითვალისწინებს განათლების სფეროში თანამშრომლობას და ტრენინგების საფუძველზე ევროკავშირის განათლების პოლიტიკასთან მიახლოებას. ეს თანამაშრომლობა გამოყოფს რამდენიმე მიმართულებას:

- სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში;
- განათლებისა და ტრენინგების სიტემის დახვეწა და სრულყოფა;
- განათლების ხარისხის გაუმჯობესება;
- უმაღლეს განათლებას, კვლევასა და ბიზნესს შორის ურთიერთანამშრომლობის ხელშეწყობას;
- კვლევის მმართველობისა და დაფინანსების ზრდას.

ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა მრავალი პოზიტიური ძვრებისა, საქართველოს კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი, რათა ის დიდი ევროპული ოჯახის წევრი გახდეს და ბოლომდე

შეასრულოს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ბიზნესის კეთების სიმარტივით საქართველოს მაჩვენებელები ყოველწლიურად უმჯობესდება, მაგრამ ეს ადექვატურად ვერ აისახება ინვესტიციებში. ევროპასთან დადებული ხელშეკრულება ქვეყნის შიგნით მოითხოვს უმაღლეს სტანდარტებს და ძალისხმევას ქვეყნის პოტენციალის სრულად გამოყენებისთვის.

საქართველოს მიზანი -გახდეს ევროპულ ბაზარზე წარმატებული, არის საშულება, რომ ის წარმატებული იყოს მსოფლიო ბაზარზე, მაგრამ ამისათვის საჭიროა, კვლავ განვითარდეს, ქვეყნის ფინანსური სფერო, ინფრასტრუქტურა და სამუშაო ძალის -მოსახლეობის უნარ-ჩვევები. ეს არის სამი უდიდესი გამოწვევა, რომლის დაძლევაც საქართველოს მოუწევს ევროპისკენ მიმავალ გზაზე.

დასკვნები და წინადადებები:

საქართველოს ინტეგრაციისათვის საერთაშორისო სივრცეში აუცილებელია:

- პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება;
- ქვეყანაში წარმოებული საქონისა და მომსახურების შესაბამისობაში მოყვანა ევროპული ბაზრის მოთხოვნებთან;
- საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი სალდოს შემცირება საგარეო ვაჭრობის შედეგების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე;
- კანონმდებლობის დახვეწა და მეწარმეობის ხელშეწყობისა და სტიმულირების მიზნით;
- ოპერაციული გარემოს გაუმჯობესება და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია:

არჩვაძე, ი. **(2021).** „ საქართველოს ეკონომიკა პროგნოზირებულ მაჩვენებელთან შედარებით უფრო მაღალი ტემპით რომ იზრდება, ამას ნათლად ადასტურებს იანვარ-აგვისტოს სტატისტიკა . ბანკები და ფინანსები.

https://bfm.ge/?s=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D+%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90

აწარმოე საქართველოში - პროგრამა ბიზნესის განვითარება

http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/Business-Development
აწარმოე საქართველოში - ექსპორტის მხარდაჭერა
http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
https://eqe.ge/geo/static/321
ევროკავშირი პროფესიული განათლების მხარდასაჭერად
https://edu.aris.ge/news/evrokavshiri-profesiuli-ganatlebis-mxardasacherad-5-wlian-programas-iwyebs-romlis-saerto-biudjeti-48-850-000-evroa.htm
კოვზანაძე, ი. (2020). „ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები დაბეგვრის ნაწილში თითქმის შესრულებულია“. *გაზეთი ბანკები და ფინანსები* .
https://bfm.ge/?s=%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ბიუჯეტის ანალიტიკური მონაცემები. https://mof.ge/biujetis_analitikuri_monacemebi
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური -საწარმოები და დაწესებულებები.
https://www.geostat.ge/ka/page/satsarmoebi-da-datsesebulebebi
ჩერქეზიშვილი, გ. (2020). ახალი კანონი საქართველოს საინვესტიციო სამართლებრივ გარემოს უცხოელი ინვესტორებისათვის უფრო გასაგებს გახდის. კომერსანტი.
https://commersant.ge/ge/post/giorgi-cherqezishvili-axali-kanoni-saqartvelos-sainvesticio-samartlebriv-garemos-ucxoeli-investorebisatvis-ufro-gasagebs-gaxdis
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო -ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება
http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7

REFERENCES

Archvadze I. (2021). -sakartvelos ekonomika prognozirebul machveneblebtan shedarebiT ufro marali tempebiT izrdeba. – bankebi da finansebi.
https://bfm.ge/?s=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D+%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90
Awarmoe saqartveloshi – programa biznesis ganvitareba
http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/Business-Development
Awarmoe saqartveloshi – programa eksportis mxardachera
http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90
Ganatlebis xarisxis ganvitarebis erovnuli centri.
https://eqe.ge/geo/static/321
Evrokavshiri profesiuli ganatlebis mxardasawerad.

https://edu.aris.ge/news/evrokavshiri-profesiuli-ganatlebis-mxardasacherad-5-wlian-programas-iwyebs-romlis-saerto-biudjeti-48-850-000-evroa.htm

Kovzanadze i. - asocirebis shetanxmebit gatvaliscinebuli valdebulebebi dabegvris nawilshi titkmis shesrulebulia. 2020 w.

https://bfm.ge/?s=%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1

Sakartvelos finanstta saministro -biujetis analitikuri monacemebi

https://mof.ge/biujetis_analitikuri_monacemebi

Saqartvelos statistikis erovnuli samsaxuri -sawarmoebi da dawesebulebebi.

https://www.geostat.ge/ka/page/satsarmoebi-da-datsesebulebebi

Cherkezishvili g. (2020). -axali kanoni saqartvelos sainvesticio -samartlebriv garemos ucxoelli investorebisatvis ufro gasagebs gaxdis. Komersanti

https://commersant.ge/ge/post/giorgi-cherqezishvili-axali-kanoni-saqartvelos-sainvesticio-samartlebriv-garemos-ucxoeli-investorebisatvis-ufro-gasagebs-gaxdis

Sakartvelos ekonomikisa da mdgradi ganvitarebis saministro -evrokavshirtan rrma da yovlismomcveli tavisufali savaWro sivrcis shetanxmeba

http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7